შპს „სადეზინფექციო სერვისი+”

საიდენტიფიკაციო კოდი: 202460238

ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

შინაარსი

ზოგადი ინფორმაცია …….....3

სააღრიცხვო პოლიტიკა …….....4

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 8

საკუთარი კაპიტალის მოძრაობა 9

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება.....10

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 11

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები 12

ზოგადი ინფორმაცია

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს “ სადეზინფექციო სერვისი + “-ს (ს/კ: 202460238) (შემდგომში კომპანია) ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებსა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებაზე ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („მსს ფასს“) შესაბამისად.

შპს „სადეზინფექციო სერვისი+” რეგისტრირებულია 2009 წლის 21 ივლისს (დამატებითი ღირებულების გადამხდელად 2009 წლის 8 ოქტომბერს). თუმცა კომპანიის ძირითადი საქმიანობა გათავისუფლებულია დღგ-სგან ჩათვლის უფლებით.
კომპანიის ხელმძღვანელია - მერაბ მოისწრაფიშვილი, 01024012279 ,ერთპიროვნულად.
წილის მფლობელები გახლავთ:
შპს “დეველოპერული სერვისების კომპანია (ს.ნ 405563215) 50%
მერაბ მოისწრაფიშვილი, 01024012279 25%
დარეჯან ბაკურაძე, 01013000377 25%

შპს „სადეზინფექციო სერვის +“- ის ძირითად საქმიანობას მოიცავს საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულებების (ბაქო–თბილისი–ჯეიჰანის და ბაქო–თბილისი–ერზრუმის მილსადენების მშენებლობაში) შესრულების გარკვეული სამუშაოების უზრუნველყოფა. კერძოდ ამ პროექტში და ამ პროექტის კონტრაქტორებთან სადეზინფექციო, სადეზინსექციო და სადერატიზაციო სამუშაოების სისტემატიური განხორციელება.

შპს „სადეზინფექციო სერვის+“-ის ძირითადი საქმიანობა გათავისუფლებულია დღგ-ს გადასახადისგან ჩათვლის უფლებით. საქართველოს საგადასახადო კოდექსის 172 მუხლის მეხუთე ქვეპუნქტის მიხედვითა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის N 366 ბრძანების მუხლი სამის მიხედვით. ასევე საერთაშორისო ხელშეკრულებების ფარგლებში მიღებული მოგების განაწილება გათავისუფლებულია მოგების გადასახადისგან.
კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. თბილისის, დიდუბის რაიონში/აგლაძის ქ. 32.

მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით-ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად

მომავალში.
კომპანიის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია შეაფასოს კომპანიის საქმიანობის უწყვეტობის უნარი, აუცილებლობის შემთხვევაში, ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია კომპანიის საქმიანობის უწყვეტობასთან და ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად საქმიანობის უწყვეტობის პრინციპების გამოყენებაზე, იმ შემთხვევის გარდა , როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

კომპანიის საანგარიშო პერიოდი არის კალენდარული წელი 2023 წლის 1 იანვრიდან - 2023 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

მსს ფასს-ზე გადასვლა

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური ანგარიშგება არის საწარმოს მეექვსე ფინანსური ანგარიშგება, რომელიც მომზადებულია მსს ფასს-ის შესაბამისად.

მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღია 2017 წლის 1 იანვარი.

სააღრიცხვო პოლიტიკა

ფინანსური ანგარიშგების მომზადებაში გამოყენებული ძირითადი საბუღალტრო პოლიტიკები მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულადაა გამოყენებული წარმოდგენილ ყველა ინფორმაციაზე, თუ ეს სხვაგვარად არაა წარმოდგენილი.
ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში კომპანია იყენებს გარკვეულ მნიშვნელოვან სააღრიცხვო შეფასებას, როგორც ამას მოითხოვს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები. ფინანსური ანგარიშგება დაფუძნებულია ორ ძირითად დაშვებებზე: დარიცხვის მეთოდსა და ფუნქციონირებადი საწარმოო პოლიტიკაზე.
გარდა ფულადი ნაკადების მოძრაობის შესახებ ინფორმაციისა, ფინანსური ანგარიშგების ყველა სხვა კომპონენტი და ელემენტი განსაზღვრულია დარიცხვის მეთოდის გამოყენებით.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

კომპანიის სამუშაო ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, შესაბამისად კომპანიის ფინანსური ანგარიშგება წარდგენილია ქართულ ლარში.
ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კომპანიის საოპერაციო ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტაში (აშშ დოლარი, ევრო) წარმოებული ტრანზაქციები აღირიცხება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ტრანზაქციის დღეს დადგენილი სავალუტო გაცვლითი კურსით.

თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს, უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ წლის ბოლოსთვის დადგენილი ოფიციალური ვალუტის გაცვლითი კურსის შესაბამისად. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში.

2023 და 2022 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:
საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი :

	აშშ დოლარი	ევრო
კურსი 2022 წლის 31 დეკემბრისთვის	2.7020	2.8844
კურსი 2023 წლის 31 დეკემბრისთვის	2.6894	2.9753

საქმიანობის უწყვეტობა („ფუნქციონირებადი საწარმო“)

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპზე დაყრდნობით, რაც გულისხმობს აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების დაფარვას ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში.
კომპანიის ხელმძღვანელობასა და დამფუძნებლებს სურვილი აქვთ, განავითარონ საქმიანობა საქართველოში. ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გამოყენებისთვის ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა კომპანიის საქმიანობა, მიზნები და სტრატეგია, ძირითადი რისკები და გაურკვევლობა მისი მიზნების მისაღწევად.
ამის საფუძველზე, ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ კომპანიის უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებიდან 12 თვის განმავლობაში, დაკავშირებული არ არის არსებით განუსაზღვრელობასთან.

აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლევადიანად და გრძელვადიანად:

კომპანია აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს მათი მოკლე და გრძელვადიანად კლასიფიკაციის საფუძველზე. აქტივი მოკლევადიანია, როდესაც:

მოსალოდნელია მისი რეალიზება, ან გადაწყვეტილია მისი გაყიდვა, ან მოხმარება ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში და ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა ყველა დანარჩენი აქტივი კლასიფიცირებულია როგორც გრძელვადიანი.

ვალდებულება მოკლევადიანია, როდესაც: მოსალოდნელია მისი დაფარვა ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში; ყველა დანარჩენ ვალდებულებას კომპანია გრძელვადიანის კატეგორიას მიაკუთვნებს.

ფინანსური ანგარიშგება–ეს არის გასული საანგარიშგებო პერიოდის ფინანსური ინფორმაცია, რომელშიც წარდგენის შესაფერისი საფუძვლების შესაბამისად სტრუქტურულად არის მოცემული სუბიექტის ფინანსური მდგომარეობა, საქმიანობის შედეგები, ფულადი სახსრებისა და კაპიტალის მოძრაობა, სააღრიცხვო პოლიტიკა და განმარტებითი შენიშვნები;
საგადასხადო ვალდებულება აღირიცხება იმ თანხით რომლის გადახდაც კომპანიას მოუწევს. მოგების გადასახადის გადახდა ხდება დივიდენდის გაცემის შემთხვევაში და ასევე კოდექსით განსაზღვრულ მოგების გადასახადით დასაბეგრ ორეპაციებზე.
მოგების გადასახადი-მოგების გადასახადი მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად, კომპანია მოგების გადასახადით იბეგრება ე.წ. „ესტონური მოდელით“. დაბეგვრის ობიექტია განაწილებული მოგება, ხარჯები და განაცემები, რომლებიც საგადასახადო მიზნისათვის არ მიეკუთვნება ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებულ ხარჯებს ან განაცემებს.
ხარჯის აღიარება-ხარჯები აღიარდება იმ პერიოდში რომელშიც მოხდა მათი გაწევა ანუ დარიცხვის მეთოდით. ხარჯები აღირიცხება და ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება ეკონიმიკური შინაარსის მიხედვით.
სასაქონლო მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულების მეთოდით. სასაქონლო მატერიულური ფასეულობების თვითღირებულება იანგარიშება საშუალო შეწონილი მეთოდის გამოყენებით.
სავაჭრო /მომსახურების გაწევა ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებების გაანალიზება იმის დასადგენად, ხომ არ არსებობს რაიმე ობიექტური მტკიცებულება, რომ ეს თანხები არ ექვემდებარება ამოღებას. ამგვარი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.
სავაჭრო ვალდებულებები. სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავლებში ან სხვა ხარჯებში.
იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას კომპანიისათვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად. ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში ან ზარალი შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.
ხელფასები, გასამრჯელოები, ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულებები, ბიულეტენები, პრემიები და არაფულადი სარგებლები კომპანიის მიერ ექვემდებარება დარიცხვას იმავე პერიოდში,რომელშიც კომპანიის თანამშრომლების მიერ შესაბამისი მომსახურება იქნა გაწეული.
დივიდენდი- დივიდენდების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც წარმოშობილია მათი გადახდის იურიდიული მოვალეობა. დივიდენდები აღიარდება როგორც ვალდებულება და შესაბამისი თანხით მცირდება კაპიტალი. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე გამოქვეყნებული დივიდენდები განიმარტება ბალანსის შემდგომ მოვლენებში.

სრული შემოსავლების ანგარიშგება

ბასს18-ის თანახმად შემოსავალი არის საწარმოს მიერ ეკონომიკური სარგებლის ზრდა საანგარიშგებო პერიოდში აქტივების ზრდით ან ვალდებულებების შემცირების გზით, რაც გამოიხატება საკუთარი კაპიტალის ზრდით, რომელიც არ არის დაკავშირებული მესაკუთრეთა დამატებით შენატანთან.

- შემოსავლის სახეებია : საოპერაციო და არასაოპერაციო.

- შემოსავლების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით. შემოსულობები განიხილება იმ პერიოდის შემოსავლად, რომელ პერიოდშიც იქნა გამომუშავებული მიუხედავად მისი სანაცვლო ფულადი სახსრებისა, ან სხვა ეკონომიკური კომპენსაციის ფაქტიურად მიღების მომენტისა. შემოსავლები აღირიცხება და ანგარიშგებაში აისახება ნეტო ღირებულებით ე. ი. მესამე პირის ხელით ამოღებული თანხების (დღგ აქციზი) გარეშე;
- ხარჯების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით. დანახარჯები განიხილება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც იგი წარმოიშვა და უზრუნველყო ეკონომიკური სარგებლის მიღება, მიუხედავად ხარჯების ფაქტიურად დაფარვის მომენტისა;
- შემოსავლები აღირიცხება ფინანსურ ანგარიშგებაში და აისახება მისი წყაროების მიხედვით;

- ხარჯები აღირიცხება ფინანსურ ანგარიშგებაში, აისახება ფუნქციონალური დანიშნულების მიხედვით;

    - წმინდა მოგება ნაწილდება და გამოიყენება:
- დივიდენდების გასაცემად;
- სხვა მიზნით აქციონერთა საერთო კრების გადაწყვეტილებით.

მომსახურების გაწევიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების ღირებულების მიხედვით. შემოსავალი რეალიზაციიდან აღიარდება, როდესაც მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან კომპანია მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება როდესაც კომპანიას შეუძლია საიმედოდ შეაფასოს გაწეული მომსახურების შედეგები, მასთან დაკავშირებული შემოსავლის აღიარება ხდება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. გაწეული მომსახურების შესრულების სტადიის მიხედვით . თუ ამონაგები უკვე აღიარებულია და შემდეგ საეჭვო გახდება გადასახადელი თანხის ამოღება, ამოსაღები თანხა აღიარდება ხარჯის სახით და არა როგორც უკვე ასახული ამონაგების თანხის კორექტირება.

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა ან ზარალის ანგარიშგებაში , თუ ხარჯებიდან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარ არის მოსალოდნელი ან მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანში აქტივად აღიარების კრიტერიუმს.

ფორმა N1 ფინანსური მდგომარეობა

ფინანსური მდგომარეობა	შენიშვნა	31/12/2023	31/12/2022	31/12/2021
ფული და სახსრები და მათი ეკვივალენტები	**1**	49551	31136	3673
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	**2**	162250	143801	307983
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფული და სახსრები		0	0	145406
მარაგები		16632	22826	21126
მზა პროდუქცია		0	0	0
სხვა	**3**	16632	22826	21126
საინვესტიციო ქონება		0	0	0
სხვა მოგვალდებანი აქტივები	**4**	8435	0	0
ბიოლოგიური აქტივები		0	0	0
თვითღირებულების მოგებით		0	0	0

გადასახადების მოგებამდე		0	0	0
გუდვილი		0	0	0
სხვა არამატერიალური აქტივები		0	0	0
ძირითადი საშუალებები	**5**	23430	27158	27669
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში		0	0	0
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში		0	0	0
სხვა გრძელვადიანი აქტივები		0	0	0
სულ აქტივები		260298	224921	505857
ვალდებულებები				
საიჯარო ვალდებულება		0	0	0
სავაჭრო ვალდებულებები		0	10370	9214
ანარიცხები		0	0	0
ვალდებულებები თანამშრომლების მიმართ	**6**	1818	6694	154751
საგადასახადო ვალდებულებები		0	1616	0
გამოუმუშავებელი შემოსავალი		0	0	0
მოკლვადიანი ნასესხები სახსრები		0	0	0
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები		0	0	0
მიღებული გრანტები		0	0	0
სხვა ვალდებულებები		0	0	0
სულ ვალდებულებები		1818	18680	163965
საკუთარი კაპიტალი				
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')		0	0	0
საემისიო შემოსავალი		0	0	0
გამოსყიდული საკუთარი აქციები		0	0	0
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	**7**	258480	206241	341892
გადასახადების რეზერვი		0	0	0
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები		0	0	0
სულ საკუთარი კაპიტალი		258480	206241	341892
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		260298	224921	505857

დირექტორი:

მერაბ მოისწრაფიშვილი ---------- / /

2. საქმიანობის შედეგები

საქმიანობის შედეგები	**შენიშვნა**	**31/12/2023**	**31/12/2022**
ნეტრამონაგები		2301171	2311589
საქონლის გაყიდვიდან		0	0
მომსახურების გაწევიდან	**8**	2301171	2311589
სამშენებლოხელშეკრულებებიდან		0	0
სხვა		0	0
გაყიდვების თვითღირებულება		0	0
საწყისი მარაგები		0	0
მარაგების შესყიდვა		0	0
გადამუშავების დანახარჯები		0	0
საბოლოომარაგები		0	0
საერთომოგება		2301171	2311589
სხვა საოპერაციოშემოსავალი		0	0
დასაქმებულთა ანაზღაურება	**9**	-732660	-1325233
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	**10**	-3728	-4374
საპროცენტოშემოსავალი		0	0
საპროცენტოხარჯი		0	0
იჯარის ხარჯი	**11**	-15229	-10966
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციოხარჯი	**12**	-856631	-726088
სულსაოპერაციოხარჯები		-1608248	-2066661
საოპერაციომოგება		692923	244928
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:			
ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა		0	0
მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა		0	0
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა		0	0
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტოსახსრების გადაფასებიდან	**13**	18	-2080
მიღებული დივიდენდები		0	0
სხვა არასაოპერაციოშემოსავალი / (ხარჯი)		0	0
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადს ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	**14**	692941	242848
მოგების გადასახადის ხარჯი		0	0
საანგარიშგებოპერიოდის მოგება / ზარალი	**15**	692941	242848
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):			

ძირითადი საშუალებების (მათშორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი		0	0
სხვა (მათშორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დაგეგმილად სახდელიანი პროგრამები)		0	0
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ		0	0
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)		692941	242848
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში		206241	341892
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')		0	0
განაწილება მესაკუთრეებზე (მათშორის დივიდენდი)	**16**	-642842	-413052
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	**17**	2140	34553
კაპიტალის სხვა ცვლილებები		0	0
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს		258480	206241

დირექტორი:

მერაბ მოისწრაფიშვილი ---------- / /

3.ფულადი სახსრების მოძრაობა:

ფულადი სახსრების მოძრაობა	**შენიშვნა**	31/12/2023	31/12/2022
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	**18**	629094	419863
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები		0	0
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	**18**	-610700	-392400

ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)		0	27463
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	**18**	21	0
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში		31136	3673
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს		49551	31136

დირექტორი:

მერაბ მოისწრაფიშვილი ---------- / /

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

აქტივები

კომპანიის აქტივებს წარმოადგენს მის საკუთრებაში არსებული ფულადი სახსრები, სავაჭრო მოთხოვნები, წინასწარ გადახდილი ავანსები, ძირითადი საშუალებები და მარაგები.

1. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთს სალაროში, ფულს ბანკში, ფულს გზაში. უცხოური ვალუტა მოცემულია ეროვნული ვალუტის კურსით. ფული და ფულის ეკვივალენტები საწყისად აღიარდება რეალური ღირებულებით და შემდეგ ამორტიზებადი ღირებულებით.

	31.12.2022 წ.	**31.12.2023 წ.**
ბანკი	31124	49539
სალარო	12	12

2. სავაჭრო მოთხოვნები- სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები არის ბიზნესის ძირითადი საქმიანობის შედეგად მომხმარებლისგან მისაღები თანხები. შესაბამისად კლასიფიცირდებიან მოკლევადიან აქტივებად.

ყოველი სამეუნეო წლის ბოლოს საწარმო ახდენს სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულების შეფასებას (დებიტორული დავალიანება), რათა განსაზღვროს თანხების ამოუღებლობის რაიმე ობიექტური მტკიცებულების არსებობა.უიმედო ვალის (საეჭვო მოთხოვნები) არსებობის შემთხვევაში აღიაროს ხარჯად ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად. 2023 წლის ბოლო მდგომარეობით სავაჭრო მოთხოვნები შეადგენს **162250** ლარს და არ არსებობს უიმედო ვალად აღიარების არანაირი საფუძველი.

3. მარაგები: მარაგის თვითღირებულება მოიცავს: შეძენასთან და გადამუშავებასთან დაკავშირებულ ყველა დანახარჯს, აგრეთვე დანახარჯებს, რომლებიც გაწეულია მისი მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისათვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად. სატრანსპორტო, დატვირთვა-გადმოტვირთვის დანახარჯები და სხვა პირდაპირი ხარჯები აღიარდება დამოუკიდებლად როგორც ხარჯი.

სასაქონლო მატერიალური ფასეულობა ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება თვით ღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი ღირებულებით. თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდის გამოყენებით.

2023 წლის მარაგის საბოლოო ღირებულებაა **16632** ლარი და მოიცავს სამუშაოების შესასრულებლად საჭირო სხვადასხვა მცირეფასიან ინვენტარს, ასევე საწვავის ნაშთს.

4. სხვა მოკლევადიანი აქტივები - ესაა კრედიტორებთან ავანსად გადარიცხული თანხა და ბიუჯეტის ანგარიშზე არსებულ ზედმეტობის თანხების ჯამი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, რაც შეადგენს **8435** ლარს.

5. ძირითადი საშუალებები - ძირითადი საშუალებების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება ბასს-16-ით „ძირითადი საშუალებების“ შესაბამისად, თვითღირებულებით.
თვითღირებულების კომპონენტი მოიცავს შეძენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად. ძირითადი საშუალებები თავდაპირველი აღიარების შემდეგ, აღირიცხება მისი თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით. შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება

აქტივის საბალანსო ღირებულებაში, ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა და შეფასება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში, მოგება-ზარალში ასახვით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება.

ძირითადი საშუალებების აღიარება შეწყდება მისი გაყიდვის შემთხვევაში, ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აქტივის გამოყენებით. ძირითადი საშუალების გაყიდვის და ხმარებიდან ამოღების შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვიდან მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის ნარჩენ საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალში. კომპანია იყენებს ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალების ყველა ჯგუფისთვის.

ძირითადი საშუალებების ნაშთი 2023 წლის ბოლოს შეადგენს **23430** ლარს .

6. ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ: შპს „სადეზინფექციო სერვის +“ -ის ვალდებულება თანამშრომელთა მიმართ ძირითადად შეადგენს პერიოდის ბოლოს საქვეანგარიშოდ გასაცემი თანხისა და სამივლინებო თანხის დავალიანებას. საანგარიშგებო წლის შემდგომ პერიოდში გასაცემი , ანუ გამოცხადებული სამივლინებო დავალიანება და საქვეანგარიშოდ გასაცემი თანხა 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს **1818 ლარს.**

7. გაუნაწილებელი მოგება / ზარალი-საქმიანობის შედეგად მიღებული მოგება. საკუთარი კაპიტალი შედგება საწესდებო კაპიტალის (ჩვეულებრივი აქციები) საემისიო კაპიტალის, გამოსყიდული საკუთარი კაპიტალის მიმდინარე და წინა წლის გაუნაწილებელი მოგებისაგან. საწესდებო კაპიტალი მოიცავს გაუნაწილებელ მოგებას და სხვადასხვა რეზერვებს.

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საწესდებო კაპიტალის ნაშთია **691972 ლარი.** 2021 წლის მოგებამ შეადგინა 253025 ლარი, ხოლო მესაკუთრეებზე დივიდენდის სახით განაწილდა 603105 ლარი, შესაბამისად 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საწესდებო კაპიტალის ნაშთია **341892 ლარი.**

2022 წლის მოგებამ შეადგინა **242848** ლარი, ხოლო მესაკუთრეებზე დივიდენდის სახით განაწილდა -**413052** ლარი, წინა წლების შეცდომების გასწორების შედეგად წარმოქმნილმა ცვლილებამ შეადგინა **34553** ლარი. შესაბამისად 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საწესდებო კაპიტალის ნაშთია **206241 ლარი.**
2023 წლის მოგებამ შეადგინა **519533** ლარი, ხოლო მესაკუთრეებზე დივიდენდის სახით განაწილდა -**642842** ლარი, წინა წლების შეცდომების გასწორების შედეგად წარმოქმნილმა ცვლილებამ შეადგინა **2140** ლარი. შესაბამისად 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საწესდებო კაპიტალის ნაშთია **258480 ლარი.**

8. ნეტო ამონაგები მომსახურების გაწევიდან - საანგარიშგებო წლის განმავლობაში კომპანიის მიერ მიღებულმა შემოსავალმა მომსახურების გაწევიდან შეადგინა **2301171** ლარი გადასახადების გარეშე.

9. დასაქმებულთა ანაზღაურება- შრომის ანაზღაურება მოიცავს დასაქმებულებზე გაცემულ თანხას ხელფასის სახით საშემოსავლოს ჩათვლით. დასაქმებულთა ანაზღაურებამ 2023 წელს შეადგინა **(732660) ლარი.**

10. ცვეთა და ამორტიზაცია- ძირითადი საშუალებების მომსახურების ვადის განმავლობაში მათი ცვეთადი ღირებულების სისტემატურ საფუძველზე გასანაწილებლად კომპანია იყენებს ცვეთის დარიცხვის წრფივ მეთოდს, რაც გულისხმობს ცვეთის ერთი და იმავე თანხის დარიცხვას აქტივის მთელი მომსახურების ვადის მანძილზე.
ძირითად საშუალებაზე ცვეთის დასარიცხად კომპანია იყენებს 20 % წლიურ განაკვეთს.
ცვეთის ხარჯმა 2023 წელს შეადგინა **(3728) ლარი.**

11. იჯარის ხარჯი- კომპანიას იჯარით აქვს აღებული ორი ფართი, ერთი ოფისისთვის შპს „პროგრიფი“-დან ხოლო მეორე სასაწყობედ შპს „რეაბილიტაცია“-დან. ორივე ფართის იჯარის ხარჯი კომპანიამ 2023 წელს გასწია ჯამში **(15229) ლარი** დღგ-ს გარეშე.

12. სხვა ადმინისტრაციული და საოპერაციო ხარჯი- მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება, თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის გაზრდას, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასთან, ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელა მისი საიმედოდ შეფასება. ხარჯები აღიარდება უშუალოდ მის გაწევასთან დაკავშირებული შემოსავლების შეპირისპირების საფუძველზე. 2023 წლის სხვა საოპერაციო ხარჯის ჯამმა შეადგინა **(856631) ლარი.**

2023 წლის საანგარიშგებო პერიოდის ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯია:

დასახელება	**თანხა**
რეალიზ.პროდ.თვითღ.(პრ.მწ.და მომს.სფ.საწ.	47149
რეკლამის ხარჯები	850
მივლინებები ქვეყნის შიგნით	33840
დაზღვევა	39711
სოციალური დანარიცხები	11749
კომუნიკაციის ხარჯები	1717
ავტომობილების და მძღოლების ინსპექტირება	195
ა/მ საექსპლუატაციო ხარჯი	7917
საწვავის ხარჯი	18385
სასტუმროს ხარჯი	3960
ავტომობილის ტრეკერის მონიტორინგი	720
საკონსულტაციო ხარჯები	24000
სამედიცინო შემოწმება	730
კომუნალური მომსახურება	388
ბანკის მომსახურების ხარჯი	2510
სარეკლამო ხარჯი	4693
საკანცელარიო ხარჯი	455
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	1971
სხვა საერთო ხარჯი	655691

13. წმინდა შემოსულობა / დანაკარგი სავალუტო სახსრების გადაფასებიდან- 2023 წელს სავალუტო სახსრების გადაფასებით დაგროვებულმა შემოსავალმა შეადგინა 18 ლარი.

14. მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან- 2023 წლის შემოსავლებისა და ხარჯების გადახურვით შპს „სადეზინფექციო სერვის +“- ის ფინანსურმა მოგებამ შეადგინა **692941 ლარი.**

15. განაწილება მესაკუთრეებზე (დივიდენდი) - დივიდენდის განაწილება ხდება კომპანიის მიერ მიღებული ფინანსური მოგებიდან არსებული წილობრივი მაჩვენებლის შესაბამისად.

დივიდენდის განაწილება კომპანიის კაპიტალიდან განხორციელდა ფულადი სახით.
2023 წელს შპს „სადეზინფექციო სერვის+“-ის წილობრივი მაჩვენებელი შემდეგია :
შპს მენეჯმენტ ინჟინირინგ სერვისი, 454412083 - 50%
მერაბ მოისწრაფიშვილი, 01024012279 - 25%
დარეჯან ბაკურაძე, 01013000377 - 25%
თუმცა გატანილი დივიდენდის განაწილება 2023 წელს მოხდა მხოლოს ორ მესაკუთრეს შორის , ესენი არიან მერაბ მოისწრაფიშვილი, 01024012279 და დარეჯან ბაკურაძე, 01013000377 .
ყოველი დივიდენდის განაწილების წინ დგება კრების ოქმი და მიიღება გადაწყვეტილება დივიდენდის გაცემასთან დაკავშირებით.

ჯამში 2023 წელს გამოცხადებულმა და განაწილებულმა დივიდენდის თანხამ შეადგინა **(-642842) ლარი.**

16. სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში : ეს არის წინა წლების შეცდომების გასწორების შედეგად წარმოქმნილი ცვლილებები საწესდებო კაპიტალის საწყის მონაცემში. კერძოდ გასწორდა 2022 წელს დებიტორული დავალიანების საბოლოო ნაშთი, რამაც გამოიწვია საწესდებო კაპიტალის საბოლოო ნაშთის ცვლილება. შესაბამისად შეიცვალა 2023 წლის საწყისი გაუნაწილებელი მოგების ნაშთი 2140 ლარით

17. ფინანსური ნაკადების ანგარიშგება : ფინანსური ნაკადების ანგარიშგება კლასფიცირდება საოპერაციო, საინვესტიციო და საფინანსო საქმიანობიდან მიღებულ ფულად ნაკადებად.

•საოპერაციო საქმიანობები მოიცავს მოგების მომტან საოპერაციო საქმიანობებს. ამ ციფრის გამოთვლა შეიძლება პირდაპირი ან არაპირდაპირი მეთოდით. და მოიცავს:
1. საქონლის გაყიდვიდან და მომსახურების გაწევიდან მიღებულ ფულად სახსრებს;
2. სხვა შემოსავლებიდან მიღებული ფულად სახსრებს;
3. საქონლისა და მომსახურების მომწოდებელთათვის გადახდილ ფულად სახსრებს;
4. თანამშრომლებისათვის და მათი სახელით გადახდილ ფულად სახსრებს;
5.კომერციული გარიგებისა და სავაჭრო მიზნით დადებული ხელშეკრულებებით მიღებულ და გადახდილ ფულად სახსრებს.
წმიდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან 2023 წელს შეადგენს **629094 ლარს.**

•ფულადი სახსრების ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან მოიცავს გრძელვადიან აქტივებზე დახარჯულ ფულად სახსრებს, გრძელვადიანი აქტივის რეალიზაციიდან მიღებულ ფულად სახსრებს და ინვესტიციიდან მიღებულ მოგებას.
წმიდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან 2023 წელს შეადგენს **0** ლარს,

•ფულადი სახსრების საფინანსო ნაკადები მოიცავს:
1. აქციების გამოშვებიდან მიღებულ ფულად სახსრებს,
2.გრძელვადიანი სესხების აღებას და დაფარვას.

3. სესხების დასაფარად გადახდილი ფულადი სახსრები
4 . დივიდენდის სახით განაწილებულ ფულად სახსრებს.
წმიდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან 2023 წელს შეადგენს **(610700)** ლარს, რაც არის დივიდენდის სახით გადახდილი თანხა.
•ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე 2023 წელს შეადგენს **21** ლარს.

ფული და ფულის ეკვივალენტები 2022 წლის ბოლოს შეადგენს 31136 ლარს.
ფული და ფულის ეკვივალენტები 2023 წლის ბოლოს შეადგენს 49551 ლარს.

დირექტორი:

მერაბ მოისწრაფიშვილი ---------- / /
თარიღი: 10/08/2024